რუსუდან გერსამია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
rgersamia@iliauni.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.18

სივრცითი ზმნისართები ლაზურში

სივრცითი ზმნისართები ლაზურში დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც მრავალრიცხოვან და სემანტიკურად მრავალფეროვან ჯგუფებს ქმნიან; ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სივრცის სტრუქტურების ენობ-რივად ორგანიზებაში და განსაზღვრავენ, თუ რა ვითარებაში, ან რა ნიშნებით მიმდინარეობს ზმნით გამოხატული მოქმედება.

ზმნისართები ლაზურში ზმნური ფუძის გარეთა სატელიტებია; ისინი წინადადებაში გვევლინებიან *ადგილის გარემოებებად* და ემსახურებიან სივრცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გადმოცემას. აღნიშნული ფუნქციის შესაბამისად სივრცითი ზმნისართები ლაზურში გამოხატავენ:

- გადაადგილების მიმართულებას;
- სხეულთა ლოკალიზაციის ადგილს;

ორივე მნიშვნელობა რეალიზებულია სივრცეშივე განთავსებულ მოძრავ ან უძრავ *ორიენტირებთან / რელატუმებთან* მიმართებით; შესაბამისად, ლაზურში ზმნისართის ფუნქციაა დაადგინოს:

1. *ფიგურის ლოკაცია* მისი უმოძრაობის პირობებში
2. *მოძრაობის საწყისი, გამოსვლითი წერტილი*
3. *მოძრაობის სასრული წერტილისკენ ორიენტირება, განსაზღვროს სამიზნე წერტილი ან გამოხატოს მიწევნითობა, მიახლოება ამ პუნქტთან*

მართალია, ამავე ფუნქციით გამოიყენებიან მასალობრივად მსგავსი ზმნისწინებიც, თუმცა არსებითად განსხვავებული კომბინაციით და განსხვავებული მიდგომით. *ზმნისარ-თთა ასახვა ენათა მიხედვით* განპირობებული ჩანს იმ *სტრატეგიით, რომელიც* ემყარება გეოგრაფიულ, კულტურულ თუ სხვა ფაქტორებს, მათ გამოყენებას ცალკეულ ენებში მოძრაობის მიმართულებისა და ლოკალიზაციის ადგილის განსაზღვრისას ანუ სივრცეში ***ორიენტირების*** პრინციპის შერჩევისას (ქობალავა 2020; ქობალავა, გერსამია 2020).

1.ზმნისართთა სტრუქტურა და ელემენტთა კომბინირების შესაძლებლობები. ლაზურ, ზმნისართებში ფორმობრივად ორ დიდ კლასს გამოყოფენ: *ძირეულს* და *წარმოქ-მნილს,* რომელთა ფარგლებშიც მოდელურ ნაირსახეობებს განარჩევენ (გაბუნია 1993; ქირია და სხვ. 2015); ჩვენ ზმნისართთა ანალიზისა და მისი ფუნქციონირების ორ დონეს გამოვყოფთ: *დიაქრონიულს*, რომელიც ზმნისართის მაკონსტრუირებელი ელემენტების გენეზისს და კომბინირების წესების დადგენას გულისხმობს და *სინქრონიულს,* როცა ზმნისართი ენაში ფუნქციონირებს როგორც დაუშლელი, მყარი მოცემულობა, რომელსაც ასევე აქვს ფლექსიური მორფემების დართვის უნარი.

ზმნისართები ლაზურში სამი განსხვავებული მოდელით არის წარმოდგენილი:

1. *მარტივი ანუ* პირველადი, ძირეული მოდელები;

2. *წარმოქმნილი* - ბრუნვის ნიშნებით, ნაწილაკებით, თანდებულებით, ზმნისწინით და სხვა მაწარმოებელი აფიქსებით მიღებული მოდელები;

3. *რთული* - გაორმაგებული სტრუქტურით, რედუპლიკაციის სხვადასხვა ტიპით.

მარტივი ზმნისართები დაუშლელია; ისინი ენის უძველეს ლექსიკურ შრეს განეკუთვნებიან და მასალობრივ იდენტობას ავლენენ მონათესავე ქართველური ენების ამავე ფუნქციის მასალასთან, ლაზურის ენობრივი სისტემის ფარგლებში კი ასევე მასალობრივ კავშირს ავლენენ ნაცვალსახელებთან ზმნისწინებთან და თანდებულებთან (ქირია და სხვ. 2015).

ლაზურში მარტივი ზმნისწინების რაოდენობა შეზღუდულია: *ჟი* / *ჟინ* „ზევით“, *თუდე* „ქვევით, ქვემოთ, ქვეშ“. მარტივად მიიჩნევა ა- და ე- საპირისპირო მნიშვნელობის მქონე დეიქტურხმოვნიანი [ჴ]ა-ქ-ო – [ჴ]ე-ქ-ო „აქეთ“ – „იქით“ და [ჴ]ა-შ-ო – [ჴ]ე-შ-ო „აქეთ“ – „იქით“ ზმნისართები; მარტივად ანუ ძირეულად უნდა განვიხილოთ თურქულიდან ნასესხები ძირები: *მენდ[რ]ა* „შორს“, *ოღინე / ოგინე* (onde) „წინ“...

წარმოქმნილ ზმნისართები დიაქრონიული ასპექტით სტრუქტურულად დაშლადი მონაცემია და *სივრცული მახასიათებლების მქონე ფუნქციურ-სემანტიკური ელემენტების ერთმანეთის მიმდევრულად კომბინირებულ ერთობლიობას წარმოადგენს, რომელსაც ენის ფუნქციონირების თანამედროვე ეტაპზე უკავშირდება ზმნისართის, როგორც მთლიანის, მნიშვნელობის გაგება.* მაშასადამე, წარმოქმნილი ზმნისართი სხვადასხვა ფუნქციური ელემენტისაგან მიმდევრულად კომბინირებული მოცემულობაა; მიმდევრობის თითოეულ წევრში კოდირებულია კონკრეტული სემანტიკური კომპონენტი, ხოლო მათ ჯამს, უფრო ზუსტად კი, მთლიანობას, უკავშირდება ზმნისართის ზოგადი მნიშვნელობა;

ლაზურში ზმნისართთა კომბინირებისას გამოყენებულია დერივაციული და ფლექსიური მორფემები: ფუნქციურად განსხვავებული ნაწილაკები, ბრუნვის ნიშნები, თანდებულების, ზმნისწინების განსაზღვრული წრე კომბინირებისას ძირეული ინვენტარით ან მის გარეშე, ზოგჯერ მიმდევრობაში ერთგვარფუნქციანი ელემენტების განმეორებით, რის მიზეზადაც წინამავალი ელემენტის დესემანტიზირება უნდა ჩაითვალოს.

1. სუფიქსური დერივანტები ძირეულ ინვენტართან:

აღნიშნული დამოუკიდებლად მიმდევრულად	-ლე -დო/-დე	-ნ -ხ / -ხე	-მთი / -მთე	დერივანტები ან ერთმანეთთან ჩნდება

ზმნისართის კომბინირებისას; მიმდევრობა სტაბილურად შეიძლება ჩაითვლება ერთი-ორი გამონაკლისის გარდა: *-ლე* და *-დო* ელემენტთა პოზიცია არასტაბილურია და ერთნაირად დასაშვებია როგორც *-ლე-ნ-დო*, ასევე *-დო-ლე* . დერივანტების მნიშვნელობა აზუსტებს სივრცული მიმართებების ტიპებს.

2. სუფიქსური დერივანტები ძირეული ინვენტარის გარეშე კომბინირებულია ოდენ დერივაციული ელემენტების მიმდევრობით, მარტივი ზმნისართული ფუძის გარეშე; მიმდევრობაში თავს იყრის ლოკატიური ადვერბიალური ნაწილაკები, ზოგჯერ ემატება მარტივი ზმნისწინიც.

3. რედუპლიკაცია: იდენტური და საპირისპირო მნიშვნელობების მქონე ფუძეების გაორკეცებით.

2. ზმნისართულ დერივანტთა მნიშვნელობა და ფუნქცია. *-ლე* დერივანტის ფუნქციაა აღნიშნოს ის წერტილი, რომელიც ანთროპოცენტრთან მიმართებით განისაზღვრება, მის მიერ

დაკავებული ლოკაციიდან აითვლება; იგი გამოხატავს მიმართულებას ან მხარეს იმ *ლოკაციიდან, რომელიც ეგოცენტრს ან სხვა ობიექტს უკავია; ლოკაციის ტიპს კი, თუ სად მდებარეობს ან საითკენ მიემართება ფიგურა აკონკრეტებს ზმნისართის კომბინაციაში შემავალი ძირი ან/და სხვა დერივანტები.* მაგალითების ანალიზი უჩვენებს, რომ მიმართულებით ზმნისართებში *-ლე*-ს ძირითადი ფუნქციაა სამიზნე წერტილის განსაზღვრა, საითკენაც არის მიმართული მოძრაობა; ამ ფუნქციით ის ქართული *-კენ* თანდებულის და მეგრულ-ლაზურის მიმართულებითი ბრუნვის *-შა* ნიშნის ფარდია. ლოკატიურ ზმნისართებში კი *-ლე* დერივანტის ეს ფუნქცია დესემანტიზირებულია.

-***დო*** დერივანტის პოზიცია ზმნისართის კომბინაციაში არასტაბილურია, ის მიმართულების გამომხატველ ზმნისართებში გვხვდება (გაბუნია 1993); ზმნისართთა კომპონენტური ანალიზი უჩვენებს, რომ *-დო* დერივანტის ფუნქცია არსებითად ემთხვევა *-ლე* დერივანტისას, აღნიშნავს მხარეს იმ *ლოკაციიდან, რომელიც ეგოცენტრს უკავია ან სხვა ობიექტს უჭირავს,* თუმცა მაგალითების ნაწილში გამოხატავს *გამოსვლით, საწყის წერტილს, რითაც* ავლენს სემანტიკურ იდენტობას ქართული *-დან* თანდებულით და მეგრულ-ლაზური *-შე* დაშორებითი ბრუნვის ნიშნით გადმოცემულ ფორმებთან.

-**დე** - *-დე* დაბოლოება აქვს თურქულიდან ნასესხებ ზმნისართებს, ის მნიშვნელობით ერთმანეთისაგან არ ასხვავებს *-დე* სუფიქსიან და უსუფიქსო ფორმებს (გერსამია 2020).

-ნ - დერივანტის პოზიცია ზმნისართულ ელემენტთა კომბინაციაში არის *-ლე* ან *დო*-დერივანტების მომდევნოდ: *-ლე-ნ, -დო-ნ;* კომბინაციაში ერთმანეთის მიმდევრობითაც გვხვდება: *ჟი-ლე-ნ-დო-ნ* „ზევიდან“, *ჟი-ნ-დო-ლე-ნ* „ზევიდან“; -ნ დაერთვის დაწყებითობის გამომხატველ ყველა ფორმას, რითაც ხაზს უსვამს საწყისობის სემანტიკას. დერივანტის ეს ფუნქცია საკმაოდ გამჭვირვალეა იდენტური *-შე* მარკერის მომდევნოდ.

-ხ / -ხე - დერივანტი ლაზურში მხოლოდ რამდენიმე ზმნისართში შედის: წო-ხ-ლე „წინ“, დოლო-ხე „შიგნით“, უკაჩ-ხე „უკან“. ის გენეზისურად თანდებულია, ერთვის მიმართულებითი ბრუნვის ფორმას და ფუნქციურად *-მდე* თანდებულს უტოლდება; ზმნისართებშიც იგივე, მიწევნითობის, სასრულობის სემანტიკა ჩანს.

-**მთე**/ **-მთი** -ორიოდე ზმნისართის კომბინაციაშია: *ე-მთი* „აღმა/ აღმართი“, *გე-მთი* „დაღმა/ დაღმართი“. პრეფიქსები ზმნისწინებია, რომლებიც ვერტიკალურ სივრცეში ქვევიდან ზევით, ან ზევიდან ქვევით მიმართულებას უჩვენებენ. დერივანტის ფუნქცია ჩანს ადვერბიალიზაცია.

დერივანტთა ფუნქციები ასე გადანაწილდება:

- ლე - საწყისი წერტილი
- დო/დე - საწყისი წერტილი
  - გამოსვლითი წერტილი /პუნქტი
- ნ - გამოსვლითი, საწყისი წერტილი / პუნქტი
- ხ/ხე - მიწევნითი, სამიზნე წერტილი / პუნქტი

ეს დერივანტები ლოკატიური ზმნისართებშიც დაჩნდება მარტივი კომბინაციების შემთხვევაში *(გალე, წოხლე..)* ან მაშინაც, როცა სემანტიკური გადაწევა ხდება.

დასკვნა. სივრცითი ზმნისართები, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნლობის მქონე ენობრივი ერთეულები ლაზურში გამოხატავენ: სივრცეში სხეულთა მოძრაობა/ გადაადგილების მიმართულებას (დინამიკა); ობიექტთა ლოკალიზაციის ადგილს (სტატიკა). ფორმობრივად გარჩეულია სამი მოდელი.

ზმნისართთა ფორმობრივი სტრუქტურა ასახავს მათ სემანტიკურ სტრუქტურას; მაგ. შედგენილი ზმნისართები წარმოადგენენ ფუნქციური ელემენტების მიმდევრობებს, რომელთაც უკავშირდება სემანტიკური კომპონენტების - მიმართულებისა და სივრცის, ლოკალიზაციის, გამოსვლითი/ საწყისი, სამიზნე და სასრული წერტილების, სივრცეში საგანთა განლაგების, ადგილის ტოპოლოგიის, სივრცის გაფართოება-დავიწროების, ვიზუალიზაციის, რეფერენცია-ორიენტაციის მრავალფეროვანი სტრუქტურის - რეპრეზენტირება.

შედგენილი ზმნისართები სხვადასხვა ფუნქციური ელემენტების მიმდევრულად კომბინირებით მიღებული ენობრივი მონაცემებია; ელემენტთა მიმდევრობა დასაშვებია არ შეიცავდეს მარტივ, ანუ ძირეულ ზმნისართს; კომბინაციაებში ელემენტთა პოზიცია ყოველ-თვის არ არის სტაბილური; ფუნქციურად დატვირთულია ზმნისართის აუსლაუტური დერივანტი; ფუნქციურად იდენტური ყოველი ახალი დერივანტის გაჩენას ზმნისართული ფუძიდან მარჯვნივ აპირობებს იმავე ფუნქციის წინამავალი დერივანტის დესემანტიზირება; დესემანტიზირება ასევე დასაშვებია კომბინაციაში შემავალი აბლატივისა და ალატივის ნიშნებისა, რომლებიც იმავე ფუნქციით ხელახლა ირთავენ დერივაციულ სუფიქსებს.

ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია: ოდენ მარტივი ზმნისართი, მარტივთან კომბინირებული დერივანტები, ან მარტივი ზმნისართის გარეშე კომბინირებული ელემენტების (დერივანტები, ნაწილაკები...) მთლიანობა; დერივანტები ენის დიაქრონიული მონაცემებია. ისინი გამოხატავენ მოქმედების ლოკაციებს - დასაწყის ან დასასრულ წერტილებს / პუნქტებს ან მიმართულებას ამ ლოკაციებისკენ. საწყისი წერტილები, უმრავლეს შემთხვევაში, დერივანტებით აღინიშნება, სასრული კი - მიმართულებითი ბრუნვის ნიშნით.

ლიტერატურა:

გაბუნია კახა 1993: ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში. მეცნიერება. თბილისი.

გერსამია რუსუდან 2020: სივრცისა და მოძრაობის ენობრივი რეპრეზენტაცია ლაზურში. ილიაუნის გამომცემლობა. თბილისი.

კარტოზია გურამ, გერსამია რ., ლომია მ., ცხადაია თ. 2010: მეგრულის ლინგვისტური ანალიზი. მერიდიანი. თბილისი.

ქირია ჭაბუკი, ეზუგბაია ლ., მემიშიში ო., ჩუხუა მ. 2015: ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია. მერიდიანი. თბილისი.

ქობალავა იზაბელა 2020, სივრცისა და მოძრაობის ენობრივი რეპრეზენტაცია მეგრულში. ილიაუნის გამომცემლობა. თბილისი.

ქობალავა იზაბელა, გერსამია რუსუდანი, 2020: Semantic Components of Adverbs in Megrelian and Laz. *Bulletin of the Georgian National Academy of Scieces*. Vol. 14. No 2.

Rusudan Gersamia
Illia State University
Tbilisi, Georgia

Spatial Adverbs in Laz

Abstract

Laz spatial adverbs are notional lexical items making up rather numerous and semantically diverse groups. They play a significant role in linguistic representation of spatial structures determining in which circumstances and with what features an action, conveyed by a verb, proceeds. They are satellites outside a verb stem; in sentences, they occur as *adverbial modifiers* and convey space-related information: direction of movement and place of localization of bodies. The function of

an adverb is to establish: location of a figure when it is immobile, beginning of action, point of departure, orientation towards the final point of motion, either to determine a target point or convey terminativity, approaching that point . In Laz, adverbs occur as three different patterns: *Simple*, that is, primary, basic patterns; *Derived* - patterns formed by means of case markers, particles, postpositions, preverbs and other affixes; *Compound* – by means of various types of reduplication. Formal structures of adverbs reflect their semantic structures; for instance, derived adverbs are sequences of functional elements, being associated with representation diverse structures of semantic components: direction and area, localization, starting, target and terminal points, arrangement of objects in an area, topology of place, widening-narrowing of an area, visualization, reference-orientation.